მცირე სახელოვნებათმცოდნეო დასკვნა და რეკომენდაციები, ქ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. №121ა-ში მდებარე შენობაზე განსახორციელებელ სამუშაოებზე

თბილისი

2023

ტერიტორია, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, მდებარეობს, ქ. თბილისის ისტორიულ უბანში, დღევანდელი ვ. წინამძღვრიშვილის, ყოფ. ელისაბედის ქუჩის ქუჩაზე.



სანამ უშუალოდ ტერიტორიის ისტორიულ-მხატვრული ღირებულების შეფასებაზე გადავალთ, ვფიქრობთ საინტერესოა მცირე ისტორიული ექსკურსი აღნისნული უბნის ჩამოყალიბების შესახებ.

მცირე ისტორიული ექსკურსი

წინამძღვრიშვილის, ყოფ. ელისაბედის ქუჩა ისტორიულად ჩუღურეთს განეკუთვნება. ქუჩა XIX ს-ის მიწურულს მიხეილის პროსპექტის მიმდებარე მიწების ათვისების მიზნით გაიჭრა პროსპექტის პარალელურად და რკინიგზის სადგურის მიმართულებით.

მე-XVIIIს. ტერიტორია, რომელზედაც დღეს პროსპექტი არსებობს, ეკალ-ბარდებით იყო დაფარული. 1800წ. ქალაქის გეგმაზე განაშენიანებული იყო მხოლოდ ვორონცოვის მოედნის ნაწილი, რომელსაც სოფ. კუკია უერთდებოდა. (სოფ. კუკია დაახლოებით იქ თავდებოდა სადაც ახლა მარჯანიშვილის ქუჩა გადის.)ამ მიწების აქტიური ათვისება, მხოლოდ 1818 წლიდან გერმანელ კოლონისტთა გადმოსახლების

დროიდან იწყება. თბილისის ამ ნაწილს „ალექსადერდორფი“ ეწოდა. სწორედ გერმანელებმა კეთილმოაწყვეს ეს ტერიტორიები, გამოიყვანეს სარწყავი არხი და გააშენეს ბაღები და ბოსტნები. გერმანელები გახდნენ თბილისის ბაზრებში ხილისა და ბოსტნეულის მთავარი მომწოდებლები. განსაკუთრებით აქტიურად გაშენდა მიხეილის პროსპექტი ვერის ხიდის (ახ. გ.ტაბიძის ხიდის) აგების შემდგომ. 1860-იანი წლებისთვის ეს ტერიტორია ჯერ კიდევ აქტიურად არის გამწვანებული გერმანელთა ბაღებით, რომელთა ფრაგმენტები შემოგვრჩა ყოფ. ფილარმონიის (გოფილექტის), ვარდების, (გორკის) არტოს და სხვა ბაღების სახით. არქიტექტურული განაშენიანებიდან მიხეილის პროსპექტზე და მიმდებარედ აღსანიშნავია არქ. ალ.ზალცმანის კათოლიკური ეკლესია, სასტუმრო “ვეტცელი” – არქ. .ბილფელდი, კინოთეატრი “აპოლო”, მარჯანიშვილის სახ. თეატრი ყოფილი “სახალხო სახლი” რეალური სასწავლებელი - უშ. ჩხეიძის ქუჩაზე და სხვა ძალზედ მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლები, რომელთა უმეტესობა თბილისში მოღვაწე სახელგანთქმული არქიტექტორების ნახელავია.
საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებთან ერთად მიხეილის პროსპექტის სამხრეთი მხარე XIXს. შუა წლებიდან სამხედრო დანიშნულების ობიექტებს ეკავა: არტილერისტების, დივიზიონსა და მესანგრეთა საჯინიბოებს – ვაგზლის მოედანთან, იუნკერთა და კადეტთა სასწავლებლებს ყოფილი დიდიმთავრის (ახ. დ. უზნაძის) და კერძოდ მიხეილის პროსპექტზე.

საპროექტო ტერიტორიის ისტორია

რაც შეეხება უშუალოდ ჩვენს საკვლევ ტერიტორიას, ისტორიულად აღნიშნული მიკროკვარტალი სამხედრო დანიშნულების ფუნციის იყო, არტილერიის საკმაოდ დიდი ზომის მოედანი 1934 წლამდე, საკმაოდ დიდი ზომის სივრცეს წარმოადგენდა. სურათი თბილისის საარქივო რუკებზე მე 20 შუა ხანებამდე არ იცვლება, სადაც თვალნათლივ ჩანს უბნის განაშენიანების მნიშვნელოვანი კომპონენტი, არტირელირიის მოედანი და მისი ფუნქციისთვის საჭირო გარემო.
თბილისის საარქივო რუკებზე, ჩვენთვის საინტერესო ტერიტორია, სწორედ არტილერიის მოედნის ნაწილია, მასზე დანამდვილებით იკითხება შენობების მთელი ჯგუფი, რომელიც არტილერიის ბრიგადათ არის მოხსენიებული.

1913 წლის გეგმზე, წინამძღვრიშვილის ქუჩის მხარეს ერთი ფლიგელი ჩანს, ხოლო 1924 წლის რუკაზე კი კონსტიტუციის ქუჩის მხრიდანც ჩნდება საკმაოდ დიდი მოცულობა, რაც კრავს შიდა ეზოს. შიდა სივრცეებზე მეტად ყაზარმული ფორმის ნაგებობის ჩანს, თუმცა დღეისათვის ძნელია რაიმე კომპლექსურობაზე საუბარი. ერთადერთი ნათელია, რომ მოედანი და მისი მიმდებარე, უფრო ზუსტად კი მომიჯნავე განაშენიანება, სწორედ მისი ფუქნციიდან გამომდინარე დაიგეგმა და ისტორიულად განვითარდა. ამის დასტურია თავად კონსტიტუციის ქუჩაზე არსებული შენობაც, რომელმაც მოედნის შემცირება გამოიწვია, თუმცა ის მის ნაწილად იქცა.





უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო ტერიტორია, სწორედ აღნიშნულ ადგილას მდებარეობს. ის არტილერიის მოედნის ქვედა მონაკვეთის სამხედრო დანიშნულების ძველი ნაგებიბების ადგილია. თუმცა ამავდროულად უნდა აღინიშნოს არსებული ტერიტორიის განვითარებაც, რომელიც სწორედ არსებული სივრცის ფუნციის დაკარგვის შემდგომ წარმოიშვა. ძველი არტილერიის ბრიგადის შენობები დროთა განმავლობაში გაქრა. როგორც ჩანს ზალზედ ავარიული, შედარებით მცირე ზომის ნაგებობეი დაიშალა, ნაწილი კი კვლავაც დარჩენილია ძლიერ სახეცვლილი ფორმით, თუმცა მეტადრე კონსტიტუციის ქუჩის მხარეს ორიენტირებული. აღნიშნული ნაგებობები, დანამდვილებით XIX საუკუნის ბოლოს განეკუთვნება და არტილერიის ბრიგადის ნათშია.



XX საუკუნის შუა ხანიდან, დაიწყო აღნიშნული ტერიტორიისა და მიმდებარე გარემოს აქტიური ათვისების ტენდენცია, რომელიც სრულიად უმასშტაბო, შუფერებელი არქიტექტურის მაღალსაღტულიანი შენობების მშენებლობებში გამოიხატა. ცხადია აღნიშნული ტენდენცია საფუძვლად დაედო, XXI-ე საუკუნის ქალაქგეგმარებითი განვითარებასაც, და შედეგად მიმდებარე გარემო, სრულიად ახალ უბნად ჩამოყალიბდა.

უბნის ისტორიული განაშენიანება XIX-XX საუკუნეს მოიცავს. უბანში დღემდე არსებული შენობათა უმრავლესობა სწორედ ამ პერიოდით თარიღდება. ქუჩის სტრუქტურას შენობათა მასშტაბი, სართულიანობა განსაზღვავს, ხოლო ფასადთა მხატვრულ-არქიტექტურული მხარე, ქუჩის მხატვრულ სახეს განაპირობებს. თუმცა სამწუხაროდ ბევრია გასული საუკუნის შუა ხანის უსახური ჩარევებიც, რომელიც მიკროუბანს მხატვრულ გამომსახველობას უკარგავს.




მიუხედავად ამისა, უბანში შემორჩენილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და ცხადია მათი ისტორია, რომელიც XIX საუკუნიდან დაწყებული XX საუკუნის 30-იანი წლების დიაპაზონს მოიცავს, განსაზღვრავს მის საერთო მხატვრულ ღირებულებას, რომელიც ცხადია საერთო სივრცით-არქიტექტურული, მატერიალური თუ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საერთო კომპონენტია და აღნიშნულ გარემოში აისახება.

უშუალოდ ჩვენი საკვლევი ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ ძეგლებს შორის, ცხადია დომინატია მდიდარი სომეხი მეწარმეები ბოზარჯიანცი და ენფიანჯიანცის თამბაქოს ქარხანა, რომელიც გარდა იმისა, რომ უბნის ისტორიული მეხსიერების ნაწილია, ინდუსტირული, მოდერნული ყაიდის ძალზედ გამოხატული არქიტექტურული ძეგლია.

საკმაოდ დიდი ზომის შენობას მთელი კვარტალი უჭირავს. სტილისტური ქარგა იმდროისთვის მოდერ მოდერნის ყაიდას გასდევს. შენობა 1913-15-იანი წლების შუალედში უნდა იყოს აგებული.

გარდა აღნიშნული ნაგებობისა, საკვლევი ტერიტორიის მიმდებარედ, კიდევ ერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. მ. წინამძღვრიშვილის ქ. №148-ში მდებარე ნაგებობა, განსაზღვრავს ქუჩის ისტორიულ მასშტაბსაც. სამსართულიანი შენობას დომინანტის როლი აკისრია, ფსევდოკლასიცისტური ფასადი, სიმეტრიის პრინციპით არის აგებული. არქიეტქტურული დეტალები, გააზრებული

კომპიზიცია თუ საერთო გეგმარება შენობას, XX საუკუნის დასწყისის თბილისის მნიშვნელოვან ნაგებობათა სიაში აქცევს.





უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არსებული ძეგლებისა ტერიტორიაზე შეინიშნება ისტორიული ე.წ. ფონური განაშენიანება, რომელიც ისტორიული მეხსიერებით არის სავსე. უშუალოდ ჩვენი საკვლევი ტერიტორია ნაწილობრივ ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა ინდივიდუალურ დამცავ ზონაში.





მდენად, როგორც ჩანს ძალზედ საინტერესოა საპროქტო ობიექტის მიმდებარე მიკორკვარტალი, რომელიც აუთნტურ, ისტორიულად ჩამოყალიბებულ სახეს ატარებს. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ფონური ნაგებობები განაპირობენ უბნის ისტორიულ მეხსირებას, რის გამო ის სრულებით ინარჩუნებს თავის არქიტექტურულ-მხატვრულ გამომსახველობასა თუ ხიბლს.

რაც შეეხება უშუალოდ საპროქტო ტერიტოიას, დღევანდელი სურათი არაერთგვაროვანია. ერთის მხრივ წინამძღვრიშვილის ქუჩის პერიმეტრზე, გვხვდება ორსართულიანი XX საუკუნის I ნახევრის ნაგებობა, მის მიმდებარედ, სავარაუდოდ ძველი არტილერიის შტაბიდან შემორჩენილი მცირე ნაგებობა (წინამძღვრიშვილისა და ფოცხვერაშვილის ქუჩათა კუთხეზე), ხოლო ტერიტორიის შიდა პერიმეტრი, სრულიად ახალ ნაგებობებს აქვთ დაკავებული. ამათგან ნაწილი საბჭოთა პერიოდის მაღალსართულიანი ნაგებობებია, ხოლო უკანა ნაწილში, მთელი კომპლექსია თანამედროვე შენობებისა.

წარმოადგენილი პროექტის მიხედვით, ეზოში მდებარე ნაგებიბების დაშლა და მის ნაცვლად ახალის ჩანაცვლება იგეგმება. ტერიტორიის და მიმდებარე გარემოს ფორმირებისას გავლენა იქონია შემდეგმა ფაქტორებმა:

- საპროექტო ობიექტის მიმდებარედ კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა კონცენტრაციაა, ტერიტორია ნაწილობრივ მის დამცავ ბუფერებში ხვდება;
- საპროექტო ობიექტის მიმდებარედ ფონური განაშენიანებაა;
- XX საუკუნის შუა ხანებიდან დაწყებული. საპროექტო ტერიტორიის ახალი, მსხვილმასშტაბიანი განაშენაინება;

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე ახალი მოცულობის გაჩენა იგეგმება, ვფიქრობთ გასათვალისწინებელია შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- ✓ საპროქტო ტერიტორია ნაწილობრივ ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა დამცავ ზონაში, შესაბამისად გსათვალისწინებელია კანონით გათვალისწინებული ქმედებები;
- ✓ საპროექტო ტერუტორია ერთის მხრივ წინამძღვრიშვილის, ხოლო მეორეს მხრივ ფოცხვერაშვილის ქუჩაზე გადის, შესაბამისად მნიშვნელოვანია ორივე ქუჩის (რომელზეც კულტ. მემკვიდტეობის ძეგლები დგას) საერთო, სურათი, გამომსახველობა, განაშენიანების საერთო მასშტაბი და სხვა ფაქტორები;
- ✓ გასააზრებელია ის, რომ ნაკვეთის მომიჯნავედ მაღალსართულიანი, მასშტაბური შენობები დგანან, თუმცა მათ მიმდებარე არსებული შედარებით პატარა მოცულობები, "ასუნთქებს" ტერიტორიას. შესაბამსიად მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს მათი ამოვსება, სივრცის სრულად ამოტუმბვა, რათა ერთის მხრივ არ მივიღოთ ურბანული გადამეტებული სიმჭიდროვე, და ამავდროულად განაშენიანებამ მეტი სიხალვათე შეიძინოს

- შესაბამსიად ძალზედ საპასუხიმგებლო გვეჩვენება ახალი ნაგებობის მოცულობა და მასშტაბი, ნებისმიერ შემთხვევაში ჩარევა უნდა განხორციელდეს დელიკატურად, ყოველგვარი მძაფრი არქიტექტურული მახვილებისა თუ აქცენტების გარეშე. გასათვალისწინებელია მიკროკვარტალის მიმდებარე ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო, განაშენიანების ხასიათი თუ სტრუქტურა. ახალი მოცულობას უნდა ახასიათებდეს ისტორიულად ჩამოყალიბებულ განაშენიანებასთან თანაზირობა და არა მათთან მძაფრი კონკურენცია. ახალი მოცულობა უნდა იყოს ფონი და არა დომინანტი არსებული განაშენიანების;
    - აღსანიშნავია ის გარემოება, რომ როგორც კვლევამ აჩვენა, აღნიშნული კვარტალი ძალზედ დაზარალდა XX საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული უსახური, მასშტაბური ახალმშენებლობებით, ამის დასტურია ის არაერთი ახალი უსახური თუ შეუსაბამო მოცულობა. შესაბამისად ნებისმიერ პროექტზე მუშაობისას ქალაქის ისტორიულ ნაწილში, სწორება უნდა იყოს გაკეთებული არა ცუდ მაგალითებზე, არამედ პირიქით ისტორიულ, ჩამოყალიბებულ ქსოვილში ფაქიზი, დელიკატური ჩარევასა და მასთან ჰარმონიულ თანამშრომლობაზე.

ხელოვნებათმცოდნე: თ. ღვინერია